



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№796 2018 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელოვანში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის – წმ. ნინოს სახელობის ეკლესიისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელოვანში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტს – წმ. ნინოს სახელობის ეკლესიას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

2. დაევალოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო), ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი